სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 ნოემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-10/93

ბსუ-ის უსგ-ის ტრენინ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების
რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“
სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და
ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24 მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №07-01/59 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის №01-02/193 ბრძანების, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 19 ივლისის №01-3/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,უწყვეტი სამედიცინო განათლების ცალკეული ფორმები და მათი აკრედიტაციის წესი და კრიტერიუმების (№1 დანართი), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოსადმი ბსუ-ს წერილების (№840773, 28/07/2025წ.; №840779, 28/07/2025წ), ბსუ-ს უსგ ტრენინ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ აკრედიტაციის თაობაზე პროფესიული განვითარების საბჭოს 2025 წლის 27 აგვისტოს №13 სხდომის გადაწყვეტილების (აკრ. №1141), სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს 2025 წლის 02 სექტემბრის წერილის REG 92500976268, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ ჯანდაცვის **(რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის,** დავით ცეცხლაძის 2025 წლის 14 ნოემბრის №1609192 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) **პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული** (27.08.2025 წ. №13 სხდომის გადაწყვეტილება №1141) ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი სამედიცინო განათლების (შემდეგში - **უსგ**) **ტრენინგ-პროგრამაზე** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ (დასწრებული ფორმა, სულ 2 დღე, 6-6 სატრენინგო საათი) **სწავლის საფასური** განისაზღვროს 1 მსმენელზე - **450 ლარი** (მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20).
2. პროგრამის განმახორციელებელი **პერსონალის შრომის ანაზღაურება განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:**

ა) **ტრენერების შრომის ანაზღაურება** 1 მსმენელის სწავლის საფასურიდან (450 ლარი) - **50%** (12 სატრენინგო საათის ჩატარებისთვის - **225 ლარი**; შესაბამისად, 1 სატრენინგო საათის ჩატარებისათვის - **18,75 ლარი**);

ბ) **პროგრამის ავტორის/ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება** – 1 მსმენელის სწავლის საფასურიდან (450 ლარი) - **15%** (67,5 ლარი);

გ) **ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორის** შრომის ანაზღაურება – 1 მსმენელის სწავლის საფასურიდან (450 ლარი) **5%** (22,5 ლარი);

დ) **დამხმარე პერსონალის - ასისტენტ(ებ)ის** - ჯამში **10%** (1 მსმენელის სწავლის საფასურიდან - **45** ლარი): 1. ასისტენტი (სასწავლო პროცესის ადმინისტრირება) - 5% (22,5 ლარი); 2. ასისტენტი (სამართლებრივი მხარდაჭერა-ასისტირება) - 5% (22,5 ლარი).

3. დამტკიცდეს უსგ მოკლევადიანი საგანმანათლებლო **პროგრამის** „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ **ხარჯთაღრიცხვა** წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში) და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ამავე ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს წევრს, ჯანდაცვის (რადიოლოგიის) მიმართულების კოორდინატორს, დავით ცეცხლაძეს; საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

,,ბსუ-ის უსგ-ის ტრენინ-პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების
რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“
სწავლის საფასურის, პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის
დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 14 ნოემბრის N 01-10/93 ბრძანების

N1 დანართი

ბსუ-ის პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის
<u>უწყვეტი სამედიცინო განათლების</u> მოკლევადიანი პროგრამის
„სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“

ხარჯთაღრიცხვა

N	უწყვეტი სამედიცინო განათლების მოკლევადიანი პროგრამის „სტომატოლოგიური პათოლოგიების რადიოლოგიური დიაგნოსტიკის ძირითადი ასპექტები“ (სულ 2 დღე - 12 სატრენინგო საათი) **ხარჯთაღრიცხვა**				
	პარამეტრები			სამუშაო დატვირთვა (საათები)/ სწავლის საფასური და შრომის ანაზღაურება (ლარში)	
1	**სწავლის საფასური ერთ მსმენელზე** (ჯგუფში სულ 15-20 მსმენელი)			**450 ლარი**	
2	პროგრამის ავტორის/ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება			**1 მსმენელის სწავლის საფასურის 15%** (67,5 ლარი)	
	პროგრამის ტრენერების შრომის ანაზღაურება			**სატრენინგო საათი** (სამუშაო დატვირთვა)	**შრომის ანაზღაურება** 1 მსმენელის სწავლის საფასურიდან
3	ტრენერების **შრომის ანაზღაურება სულ 12 საკონტაქტო საათზე - 225** ლარი (1 მსმენელის სწავლის საფასურის **50%)**	1	პროგრამის შესავალი. რადიოლოგიის ზოგადი საკითხები. სტომატოლოგიური რადიოლოგიის მეთოდები (I-IV ნაწილი).	3 საათი	56,25
		2	სტომატოლოგიური რადიოლოგიის მეთოდები (V ნაწილი). კბილებისა და ყბების ნორმალური რადიოლოგიური ანატომია და მისი „ხაფანგები“.	3 საათი	56,25
		3	რადიოლოგიური გამოსახულების შეფასების ზოგადი პრინციპები.	1 საათი	18,75
		4	სტომატოლოგიური რადიოლოგიის კლინიკური ასპექტები. ორთოპანტომოგრაფიისა და კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებიის მეთოდოლოგია; კლინიკური შემთხვევების განხილვა (I ნაწილი).	3 საათი	56,25
		5	ორთოპანტომოგრაფიისა და კონუსურ-სხივური კომპიუტერული ტომოგრაფიის სტომატოლოგიურ პრაქტიკაში გამოყენებიის მეთოდოლოგია; კლინიკური	2 საათი	37,5

			შემთხვევების განხილვა (II ნაწილი).		
4	პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის **5% (22,5 ლარი)**	
5	ასისტენტის (სასწავლო პროცესის ადმინისტრირება) შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის **5% (22,5 ლარი)**	
6	ასისტენტის (სამართლებრივი მხარდაჭერა-ასისტირება) შრომის ანაზღაურება			1 მსმენელის სწავლის საფასურის **5% (22,5 ლარი)**	
7	უნივერსიტეტის განვითარების ხარჯები			1 მსმენელის სწავლის საფასურის 20% (90 ლარი)	